

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომხრებელი მოსალოდნელია

დღეს მოსალოდნელია წვიმა, ცვალეზი და მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდა-თიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგაუმრავლესებელი წვიმა.

კრიკოსი N 103

2023 წლის პროგრამებისა და პრიორიტეტების შესახებ იმსჯელეს

სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს. სასამართლო ჩვენი მმართველობის დროს გახდა დამოუკიდებელი, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, შეხვედრაზე, რომელიც დასრულდა იყო, ბევრი ინფორმაცია მიიღო, მათ შორის, მოსამართლეებზე ზეწოლასთან დაკავშირებით. „მოუდებელია ყოველგვარი ჩარევა ან რაიმე გავლენის მოხდენა სუვერენული ქვეყნის სუვერენულ სასამართლოზე, მოსამართლეებზე. ჩვენ მაქსიმუმს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დავიცვათ სასამართლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ყოველგვარი ჩარევისა და ზეწოლისგან“, - აღნიშნა პრემიერმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო თათბირი გამართა, რომელზეც 2023 წლის პროგრამებისა და პრიორიტეტების შესახებ იმსჯელეს.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ მთავრობის მეთაურს მიაწოდა ინფორმაცია 2023 წელს სამინისტროს მიერ განსახორციელებელი გეგმების და პრიორიტეტების შესახებ.

„2023 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტმა აჭარაში თითქმის 30 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მოგვცემს საშუალებას კიდევ უფრო მეტად დავუჭიროთ მხარი თითოეულ ადამიანს, რომელიც რეგიონს და მთლიანად ეკონომიკას აძლიერებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან, მივიღეს თითოეულ მეწარმეზე და ფერმერზე და ყველაზე მაქსიმალური ეფექტურობით განხორციელდეს“ - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.



2023 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი 8,6 მლნ ლარით გაიზარდა და 29,5 მლნ ლარს შეადგენს.

აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სამინისტრო 2023 წელს განახორციელებს სოფლად მეწარმეობის განვითარების და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც 400-მდე ფერმერი დაფინანსდება.

2023 წელს გაგრძელდება სახანაგ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება, ასევე, განხორციელდება მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა.

2023 წელს 20 სტუდენტი, კურსდამთავრებული ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლის სამინისტროში.

გაგრძელდება აგრარული ექსტენციის მიწოდება ყველა მუნიციპალიტეტში. განხილდა მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობისა და აგრომომსახურების განვითარების პროგრამები.

სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს გაეროს დახმარება და ბუნებრივი რესურსების მართვა წარმოადგენს. აჭარის მთავრობა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან თანამშრომლობით ტყის მდგრადი მართვის პროექტს ახორციელებს.

ასევე, მიმდინარეობს სატყეო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

კულტურის მიმართულებით განხორციელებული საქმიანოების შესახებ ანგარიში მოიხსენიეს

46-მა ოპოზიციონერმა დებუტატმა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თხოვნით მიმართა. მათი სურვილია, „რეფორმების ჩვენს ინიციატივის საფუძველზე, შეიქმნას საქართველოს სასამართლო სისტემაში კორუფციულ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია. შეგახსენებთ, აშშ-მა ოთხ ქართველ მოსამართლეს, მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის მოტივით, სანქციები დაუწესა.“

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძე უძღვებოდა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის მიმართულებით გაწეული საქმიანოების შესახებ ანგარიში მოხსენიეს.

მოსხენება მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ წარმოადგინეს. მათი განცხადებით, პანდემიის შემდგომი ორი წელი რეგიონში კულტურული აღმავლობით გამოირჩევა, რასაც საგრძნობლად გაზარდილია ბიუჯეტმა შეუწყო ხელი. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილეს კულტურის სფეროს ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა - ფოლკლორი, თანამედროვე, საერთაშორისო მიმართულებები, ასევე კონკურსები, ინოვაციური პროექტები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც უწყების მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში ხორციელდება.

კითხვა-პასუხის შემდეგ კომიტეტმა წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიიღო.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ოპოზიციური პარტიებში რაღაც ახალი განტეხების ვაცის ძებნა მაშინ, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებული პროცესები არცთუ ისე წარმატებით მიმდინარეობს, მგონია, რომ უბრალოდ, ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით, - განაცხადა „ლელოს“ გენერალურმა მდივანმა ირაკლი კუპრაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის განცხადების საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც, ის თვითმარტყვით ოპოზიციის გამორკვევას გეგმავს. შეგახსენებთ, 9 აპრილს თბილისში ენმ-ის მიერ ორგანიზებული აქცია გამართა, რომელზეც სიმწირე იყო როგორც ოპოზიციონერი ლიდერების, ასევე მხარდაჭერების.

თავდაცვის კოდექსის მიზანი არც რეფორმა და არც ჩვენი ჩარი განხილვა უფრო უკეთესი, - განაცხადა „გირჩის“ დებუტატმა იავო ხვიჩიამ. მისი თქმით, „წინასწარჩვენოდ ხმების მობილიზებისთვის სხვადასხვა კატეგორიის ადამიანების აღრიცხვა მიიღეს, თუ ვინ არის წევრად და ვის ჰყავს ოჯახში პატიმარი და ასე შემდეგ, რათა მათ ინდივიდუალურად მიუღწევენ და უთხრან, რომ „ჩარში არ წაიყვანონ, თუ ხმას აქცევენ“ მისცემ“. ხვიჩიას თქმით, ჩარი ნებაყოფლობითი უნდა იყოს და „ჩარისკაცი განხილვა ადამიანი, ვისაც ჩარისკაცობა უნდა“.

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამოიწიეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწიეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



სოციალური პარტნიორობის სამხრეთი ტერიტორიული კომისიის შეხვედრა

დარბაზი ბაზაიში 514 22 22 80

სასტუმრო „შერატონ ბათუმი“ აჭარის სოციალური პარტნიორობის სამხრეთი ტერიტორიული კომისიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ გახსნა



დე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი დავით ჭყონია და პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე ზურაბ ცეცხლაძე.

სის განგარიშება, შრომის ინსპექციის მუშაობის პრაქტიკა აჭარის რეგიონში, ნორმირებული სამუშაო დროის განსაზღვრება კანონმდებლობაში, ანალიზი გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებით და ა.შ.

კომისია მოწოდებულია განავითაროს სოციალური დიალოგის კულტურა და ხელი შეუწყოს დიალოგის გზით ნებისმიერი სადავო საკითხის მოგვარებას. კომისიის მიზანია დაარეგულიროს ურთიერთობა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, დაიცავს დასაქმებულთა უფლებები, უსაფრთხოება, განხილოს შრომითი დავები.

კომისია დღეს დისკუსიას გამართავს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით და იმსჯელებს დოკუმენტის დამტკიცებაზე.

ახალგაზრდები - სოფლის განვითარებისთვის

დარბაზი ბაზაიში 514 22 22 80

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდების ცენტრის ინიციატივით, ფორუმი - „ახალგაზრდები სოფლის განვითარებისთვის“ გაიმართა, რომელსაც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მია ხაჯიშვილი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ზაზა დასამიძე, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემიძე, მერიის მოადგილეები და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ



ფა, მათი სამეწარმეო უნარების განვითარება და

ფერმერულ მეურნეობებში წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა.

ფორუმზე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების განხილვისა და შეფასების განყოფილების უფროსმა ჯონდო ჯაყელმა გამართა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ სამინისტროს 2023 წლის პროგრამის პრეზენტაცია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ზაზა დასამიძემ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

შეხვედრის ბოლოს ფორუმის მონაწილე ახალგაზრდებს გადაეცათ სერტიფიკატები და ენციკლოპედიები.

შინ მოვლის პროგრამის ფარგლებში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახვედრაში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების სოციალური სერვისების განვითარებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა პერსონალური ასისტენტისა და შინ მოვლის პროგრამის ახორციელებს.



ახევის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ულარული პერსონალური ასისტენტები სერვისის ახორციელებენ მუნიციპალიტეტის 30 ბენეფიციართან.

შუახვედრაში მერიის ომარ ტაკიძე პროგრამის კოორდინატორ მზია დავითაძესა და პროგრამით დასაქმებულებს შეხვდა, გაწეული საქმიანობის ანგარიში მოისმინა. ითქვა, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს და ხანდაზმულებზე ყურადღებას.

შუახვედრაში სოციალური პროგრამა გასულ წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“, ასოციაცია „ანაკასა“ და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო. მიმდინარე წელს პროგრამა შუ-

პროგრამის ფარგლებში გადამზადებული შინ მოვლის სპეციალისტები (მედიკები) და რეგ-

ადდომის დღესასწაულის მონაწილეობასთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სამომხმარებლო ბაზრის კონტროლი გაააქტიურა. სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფები საბითუმო, მსხვილ და მცირე სავაჭრო ობიექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოწმებენ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ხორცისა და კვერცხის სარეალიზაციო ობიექტების, ასევე საკონდიტროების კონტროლში. მოწოდება კვერცხის ვარგისიანობის ვადა, ეტიკეტირება და რეალიზაციის პირობები, ხოლო საცხობებსა და ხორცის სარეალიზაციო ობიექტებში - წარმოების პროცესი, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და მიკრობიოლოგია.

ბათუმში კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით „21-ე საუკუნის თანამედროვე საკოლა და მასწავლებელი“, რომლის მიზანი იყო პედაგოგების პროფესიული და პედაგოგიურ-პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება და სწავლების ხარისხის ამაღლება. კონფერენცია ბათუმის მე-16 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით, საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნულმა აკადემიამ გამართა. მე-16 საჯარო სკოლის წარმომადგენლებმა სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზებზე ისაუბრეს. შეხვედრას 300-მდე პედაგოგი დაესწრო. კონფერენციის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

მთაწაზა ნაირა ფუტკარაძე

კლიმატის სვლილებით გამოწვეული კატასტროფების შესამცირებლად

დარბაზი ბაზაიში 514 22 22 80

პროექტი - „კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ არსებულ სამიზნე მუნიციპალიტეტებთან ერთად (გორი, ლაგოდეხი, სიღნაღი, თელავი, ახმეტა, სამტრედიო, აბაშა, სენაკი, ხობი, ქობულეთი), მიმდინარე წლიდან, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებშიც განხორციელდება. ახალი სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებსთვის პროექტის წარდგენის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა



ურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, სახელმწიფო რწმუნებული გურიის

მხარეში გიორგი ურუშაძე, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი, გეროს განვითარების პროგრამის (UNDP) GCF პროექტის კოორდინატორი ქეთევან სხირელი და დანტერესებული საზოგადოება ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე, დანტერესებულ მხარეებს, მუნიციპალიტეტების და თემების დონეზე განსახორციელებელი აქტივობები გააცნეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილმა პროექტის წარმატებით განხორციელებაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების ჩართულობ-

ის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მონაწილეებმა თემზე დაფუძნებული რისკის მართვის მნიშვნელობა, პროგრამის ფარგლებში მომზადებული საფრთხის რუკები და განხორციელებული და დაგეგმილი ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები განიხილეს.

პროგრამა „კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ დაფინანსებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვენი ფონდის (GCF), შვეიცარიის და შვედეთის მთავრობების მიერ, მის განხორციელებას კი გეროს განვითარების პროგრამა (UNDP) უზრუნველყოფს.



წინასწარ უნდა დავზავოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, რათა მისი დასვა შეზღვევით

ფინეთის სახელმწიფოს წარმატებები სხვადასხვა სფეროში (განათლება, მრეწველობა, თავდაცვა, ადამიანის უფლებები...) საქართველოსთვის განსაკუთრებულად საინტერესო და სამავალიოა, ეს ქვეყანა, შეიძლება ითქვას, საქართველოსთვის პატარაა, რადგან მიუხედავად ჩვენს ქვეყანაზე ხუთჯერ მეტი ფართობისა, იმდენად მეჩხრად და დასახლებული, რომ სულ ხუთმილიონანობა ადამიანი ცხოვრობს



მთავარი ისაა, რომ რუსეთის მოსაზრებებში ამ სახელმწიფომ „დაიდა“ მეზობლისგან იწვინა ბატონის მათარხიც (თითქმის საუკუნე, 1809-1917 წწ. მის იმპერიაში შედიოდა), მასთან ომის უბედურებაც, დამოუკიდებლობის მიღწევის სიხარულიც და ჩვენგან განსხვავებით, საბოლოოდ გათავისუფლდა ამ პერმანენტულად მოძალადე სახელმწიფოს გავლენისგან. მაინც რისი წყალობით? სწორედ ამ თემზეა ჩვენი დღევანდელი წერილი.

ფინელები პრაგმატულია და პატიოსნებით გამოჩნეული ხალხია, ამჟამინდელი იმით, რომ ფინელის სიტყვა სანდოა. ფინეთის თავდაცვის ძალების ყოფილი მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტი იარმო ლინდბერგის აზრით, სწორედ ამ თვისებების გამოა, რომ ფინეთის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია.

„ალიანსში გაწევრიანდეთ და მერე თქვა - ახლა, მოდით და დაგვიცავით, რადგან ჩვენ ჩვენი საშინაო დავალება არ გავაკეთეთ - ასე არ გამოვა“, - ლამის გვიდევჯავს და ისე ცდილობს გავგაგებინოს საკუთარი ქვეყნის დაცვის აუცილებლობა იარმო ლინდბერგმა და დაწვრილებით გვისაბუთებს, რა იღონა თავის დასაცავად ფინეთმა

ებმა ითამაშა ვადამწვევტი როლი იმაში, რომ მისი ქვეყანა ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში უპრეტენდენტოდ სწრაფად შევიდა. გენერალი ლინდბერგი ამჟამად ფინეთის პარლამენტარია მმართველი კოალიციიდან. პრესაში გავრცელდა მისი მოსაზრებები ნატოზე, რუსეთის ურთიერთობის გამოცდილებასა და სხვა საინტერესო საკითხებზე. ჩვენ შევკრიბეთ საყურადღებო შეკითხვებზე მისი პასუხები, ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვის ისინი ინტერესმოკლებული არ იქნება.

ამისადა, საბასუხო რეაქციებიც არ გაუჭირდება.

საყურადღებოა, რომ ფინეთში ბოლო არჩევნების შედეგად შეიცვალა მმართველი პარტია, რას შეცვლის ეს გარემოება საგარეო პოლიტიკაში? ამ საკითხზე საუბრისას გენერალ-ლეიტენანტი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ზემოთ აღნიშნული ცვლილების შედეგად თავდაცვა გახდა პარლამენტარია და დღეს გამარჯვებულ პარტიას წარმოადგენს. სწორედ ეს პარტია ამჟამად ახალი მთავრობის დაკომპლექტების პროცესშია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ფინეთის პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები დაიწყება, ეს არ შეცვლის პრობლემების კურსს, ანუ ნებისმიერი ახალი მმართველი გუნდი ამ კურსის ერთგული, ნატოს მომხრე დარჩება, ვინაიდან ეს ფინეთის მოსახლეობის არჩევანია. „ფინელების 80 პროცენტი დღეს ნატოს წევრობის მომხრეა, ისევე, როგორც ყველა ახალი შვასაწევი პარტია. ახალ მთავრობას მოუწევს შეიმუშავოს ახალი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით - პოლიტიკა, რომელიც მოერგება დღევანდელ რეალობას, რომელშიც ფინეთი ნატოს წევრია“ - განაცხადა ლინდბერგმა.

ენს. შესაბამისად, განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ელოდება. მისი თქმით, არაფერი შეიცვლება საყოველთაო გაწვევის სისტემაშიც, ვინაიდან ის უკვე აპრობირებულია და კარგად მუშაობს. „თავდაცვის ბიუჯეტის ორპროცენტთან ბარიერს, რომელსაც ნატო ითხოვს, ისედაც კარგა ხანია ვაჭარბებთ. რაც შეეხება ბაზებს - ამჟამად მიმდინარეობს დისკუსიები ნატოსთან, თუ რა სამხედრო პროფილი უნდა ჰქონდეს ფინეთს ნატოში. როდესაც ეს პრობლემა, ასე ვთქვათ, დაინახება, შემდეგ უფრო დეტალურად შეგვიძლია ამაზე მსჯელობა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე, ნატოს ყურადღება უფრო სამხრეთზე, უკრაინის მისაღობებზეა გადატანილი, ვიდრე ჩრდილოეთით, ფინეთზე“, - ხაზს უსვამს ფინელი გენერალ-ლეიტენანტი.

უდავოდ, საინტერესოა ლინდბერგის აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ აისახება ფინეთის ნატოში გაწევრიანება საქართველოსა და უკრაინის მდგომარეობაზე, ვინაიდან ამ ორ ქვეყანას დღეს განსაკუთრებით სჭირდება ამ ალიანსის ქოლგის ქვეშ შესვლა.

გენერლის აზრით, ნატოში შესვლა კერძო შედეგისთვისაა საშუალო საქმე, რადგან მან ფინეთთან ერთად შეიტანა განაცხადი, თუმცა ჯერ მოახერხა გაწევრიანება. მიზეზი კი ისაა, რომ თურქეთი და უნგრეთი რატიფიკირებაზე უარს ამბობენ. ლინდბერგის თქმით, ფინეთისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, შევადგინოთ გახდეს ნატოს წევრი. იგი იმედოვნებს, რომ ეს საკითხი ივლისში ნატოს ვილინის სამიტამდე გადაწყდება. „რაც შეეხება საქართველოსა და უკრაინას, თუ ნატოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ ეს ქვეყნები მზად არიან ნატოში გაწევრიანებისთვის და აკმაყოფილებენ ამისთვის საჭირო კრიტერიუმებს, ჰელსინკიც, როგორც ნატოს წევრი, ალიანსის წევრებით ითამაშებს“, - განაცხადა ფინელმა პარლამენტარმა.

ნატოში შესვლის შემდეგ ფინეთი უფრო აქტიურად დაენახება თუ არა უკრაინას საბრძოლო ტექნიკით, ვინაიდან რუსეთის აგრესიისგან უფრო დაცულად გრძნობს თავს? ლინდბერგი აღნიშნავს, რომ ფინეთმა ამ ეტაპზე უკრაინისთვის 960 მილიონი ევროს ღირებულების სამხედრო ტექნიკა გაიღო. შემდეგ ჯერ ეს დახმარება ერთ მილიარდ ევროზე მეტი იქნება, თუმცა რუსეთის მეზობელი სახელმწიფო არც ამით შემოიფარგლება. „დეტალურად განვიხილავთ უკრაინელ კოლეგებთან, რა სჭირდებათ, ჩვენ რა გვაქვს და რით შეგვიძლია დავეხმაროთ, რათა ეს დახმარება მაქსიმალურად ეფექტური იყოს“, - ამბობს გენერალ-ლეიტენანტი.

ფინეთთან დაკავშირებით ასევე

ფინეთის უსაფრთხოება ნატოში გაწევრიანებამდე შესაშურად იყო დაცული და ამ ქვეყანამ მაინც აუცილებლობად ჩათვალა ალიანსში გაერთიანება, ცხადია, მით უფრო მნიშვნელოვანია ეს ასეთივე პატარა და უფრო მოწყვლადი, რუსეთის მოსაზრებებზე ქვეყნისთვის, როგორც საქართველო. რას ურჩევდა გენერალ-ლეიტენანტი ლინდბერგი ასეთ ქვეყნებს, რომლებსაც ნატოს ქოლგა არ იცავს?

იგი გვირჩევს, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება თავადვე დაგვიცავს, რათა მისი დაცვა შეგვიძლია. ამისთვის საქართველოს მოსახლეობაც უნდა იყოს მზად და შეიარაღებული ძალებიც. ეს აუცილებელია მაშინაც კი, თუ ალიანსის წევრი გავხდებით. ნატოს წევრად „უბილით“ არავინ მიგვიღებს. ლინდბერგის თქმითვე, ჩვენ არა მარტო საკუთარი ტერიტორიის დაცვის, არამედ სხვების დახმარებაც უნდა შეგვიძლია, მაგალითად ფინეთი მოჭყავს და ამბობს, რომ ნატოში გაწევრიანების მიუხედავად სამშობლოს დაცვა, უპირველესად, ისევე ფინელებს ევალება, ანუ ტყუილი იმედია, რომ ალიანსში შესვლის შემდეგ ჩვენს ქვეყანას სხვები დაიცვენ. „ალიანსში გაწევრიანდეთ და მერე თქვა - ახლა, მოდით და დაგვიცავთ, რადგან ჩვენ ჩვენი საშინაო დავალება არ გავაკეთეთ - ასე არ გამოვა“, - ლამის გვიდევჯავს და ისე ცდილობს გავგაგებინოს საკუთარი ქვეყნის დაცვის აუცილებლობა იარმო ლინდბერგმა და დაწვრილებით გვისაბუთებს, რა იღონა თავის დასაცავად ფინეთმა.

„როცა ცივი ომი დამთავრდა, ზოგი ქვეყანა ალმაცვრად გვეყურებდა. ფიქრობდნენ, რომ ძველ დროში ვიყავით ჩარჩენილები და დრომეტივე პრაქტიკებს ვერ ველოდით, რადგან შევინარჩუნეთ საყოველთაო გაწვევა და გვეყავა მრავალრიცხოვანი თავდაცვის რეზერვი. ბევრმა ქვეყანამ კრიზისის მართვის ოპერაციებზე დაიწყო ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ჩვენი ისტორიიდან, იმ წარსულიდან გამომდინარე, რომელიც რუსეთთან ომი პირდაპირ ვიწვინეთ, ჩვენ შევინარჩუნეთ რეზერვისტებისა და საყოველთაო გაწვევის კომბინაცია... და როდესაც სხვა ქვეყნები თავიანთ შეიარაღებას ყიდდნენ, ჩვენ ამ შეიარაღებას იაფად ვყიდულობდით და მხოლოდ ამაზე ვჭრდებოდით - შევიძინეთ თანამედროვე, შორი მანძილის და მაღალი სიზუსტის მქონე შეიარაღებაც, როგორც საშინაო, ასევე ქვეყნიდან და საზღვაო ძალებისთვის. ის კომბინაცია, რის მიღწევასაც დღეს უკრაინა ლამობს - სათანადო რაოდენობის ძალებს რომ ჰქონდეთ ჯავშანტექნიკა, ტანკები, რაკეტები, შორი მანძილზე ბრძოლის შესაძლებლობა, საბრძოლო თვითმფრინავები და საჰაერო თავდაცვა - ეს ყველაფერი ჩვენ უკვე გვაქვს. ახლა ხალხი ამბობს, რომ ჩვენი გათვლები აბსოლუტურად სწორი იყო იმ ომისთვის, რომელსაც დღეს უკრაინაში ვხედავთ, მაგრამ ეს ომი არ მოხდა ფინეთში - მოხდა უკრაინაში“.

ჩვენ წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ ფინეთის რესპუბლიკა ერთ-ერთი განვითარებული და მრავალ სფეროში წარმატებული ქვეყანაა. იგი, ასე ვთქვათ, იშვიათად ბედნიერი ქვეყანა მთელ მსოფლიოში. როგორ შეძლო ამის მიღწევა იმ ფონზე, რომ დიდი ძალისხმევა და დრო ეხარჯება ზესახელმწიფოსთან შესაძლო ბრძოლის მზადყოფნისთვის. ეს, მართლაც, ძალიან საინტერესოა.

ჩვენ წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ ფინეთის რესპუბლიკა ერთ-ერთი განვითარებული და მრავალ სფეროში წარმატებული ქვეყანაა. იგი, ასე ვთქვათ, იშვიათად ბედნიერი ქვეყანა მთელ მსოფლიოში. როგორ შეძლო ამის მიღწევა იმ ფონზე, რომ დიდი ძალისხმევა და დრო ეხარჯება ზესახელმწიფოსთან შესაძლო ბრძოლის მზადყოფნისთვის. ეს, მართლაც, ძალიან საინტერესოა.

უხსოვარი

ევროპამ უნდა შეამციროს აშშ-ზე დამოკიდებულება და თავიდან აირიდოს ტაივანის საკითხზე კონფლიქტში ჩათრევა, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ჩინეთში ვიზიტის შემდეგ. მისი თქმით, ევროპას ითრევენ კრიზისებში, რომლებიც მისი არ არის. მაკრონი მიიჩნევს, რომ ევროპა უნდა განდეს მესამე ძალა ტაივანის საკითხში და არ განდეს ვაშინგტონის ან ბეკინის პოზიციის მიმდევარი, ამასთან, „ევროპამ უკეთ უნდა დააფინანსოს საკუთარი თავდაცვითი ინფრასტრუქტურა, განავითაროს ბირთვული და განახლებადი ენერჯია და შეამციროს დამოკიდებულება ამერიკულ დოლარზე“. მაკრონიმ პეკინში ვიზიტამდე, ასევე, განაცხადა, რომ ევროპელებმა უნდა ითანამშრომლონ ჩინეთთან უკრაინაში მიმდინარე ომიდან გამოსავლის მოსაძებნად.

ჩინეთმა ტაივანის სრულტემში სამდღიანი სამხედრო წვრთნები გამართა. აღნიშნული ნაბიჯით ოფიციალური პეკინის სურვილი იყო ტაივანის ხელისუფლების მკაცრად გაფრთხილება. მათი გაღიზიანება ტაივანის პრეზიდენტისა და აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერის შეხვედრამ გამოიწვია, რომელიც კალიფორნიაში შედგა. ცნობისთვის, ტაივანი თავის სურვილებს სახელმწიფოდ მიიჩნევს, ჩინეთი კი მას საკუთარ ტერიტორიად მოიაზრებს. თავის მხრივ, შეერთებული შტატები ტაივანში ჩარების გაზრდის საკითხს განიხილავს, თუ ჩინეთი აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიჭრება.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი დარწმუნებულა, რომ უკრაინა გაჭრება, რადგან ის არავის სჭირდება - არც რუსეთს, არც ევროპას, აშშ-ს, აფრიკას, ლათინურ ამერიკას, ბოლოს, თავად უკრაინის მოქალაქეებს. „რუსეთის ნაწილები, რომლებსაც 1991 წლის საზღვრებში უკრაინა ეწოდა, მხოლოდ სსრკ-ის დაშლის შედეგად წარმოქმნილი გაუგებრობაა. ასე რომ, ჩვენ არ გვჭირდება ის. ჩვენ გვჭირდება დიდი რუსეთი“, - წერს სოციალურ ქსელში მედვედევი და დასძინს: „ასეთი უკრაინა ბლანტაზე არავის სჭირდება. ამიტომაც არ იარსებებს“.

ლატვია ბელარუსთან საზღვრის გასწვრივ 64 კილომეტრი სიგრძის ბარიერს ააშენებს. გადაწყვეტილება ამის შესახებ ქვეყანამ ჯერ კიდევ 2016 წელს, არალეგალური მიგრანტებისგან თავის დაცვის მიზნით მიიღო. ამ დრომდე აშენებულია 54 კილომეტრი, რაც პროგნოზირებული ღირებულების მხოლოდ მესამედზე ნაკლებია. ბელარუსის საზღვარზე ბარიერის აშენების გადაწყვეტილება მიიღეს ბოლონეთმა და ლიეტუვამაც.

აშშ-ის ოუსტიციის დეპარტამენტმა ბენჯამინს დოკუმენტების შესაძლო გავრცელების ფაქტზე, რომლებიც სოციალურ მედიაში გამოქვეყნდა, გამოძიება დაიწყო. დოკუმენტებში განხილულია თემების ფართო სპექტრი, რომლებიც ეხება ომს უკრაინაში, ჩინეთს, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკას. დოკუმენტების ნაწილი დეტალურად აღწერს უკრაინის დახმარებასთან დაკავშირებულ თემებს. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც 23 თებერვლით თარიღდება, აღწერილია როგორ ამოიწურება უკრაინის S-300 ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემების მარაგი გამოყენების ამჟამინდელი ტემპით 2 მთვინამდე.

როგორ უნდა დაეხმაროს მშობელი ბავშვს რთული ქსავის მართვაში?

მარიამ ხითაიშვილი 27 48 93

თითქმის ყველა მშობელს ექმნება გარკვეული სირთულეები შვილების პრობლემური ქცევის მართვისას. ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ბავშვები ხდებიან ზედმეტად ჭირვეულები, ცდილობენ თვითდამკვიდრებას სხვადასხვა არასასურველი ქცევით და იმის გაკეთებას, რაც ეკრძალებოდათ. ამ დროს უფროსების მხრიდან ბავშვების დასჯის, ან მათი სხვა გზით გაკონტროლების მცდელობა შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს არასასურველი ქცევა, ამიტომ აუცილებელია პრობლემური ქცევის შეფასება, კარგად გაანალიზება და შესაბამისი ზომების მიღება.



ვი. იმ შემთხვევაში, თუ არასასურველი ქცევა დაკავშირებულია კომუნიკაციური უნარების სიმწირესთან, მაშინ ჩვენს მთავარ მიზანს ფუნქციური კომუნიკაციური უნარების დასწავლა-გამდიდრება წარმოადგენს, რათა მან, რთული ქცევის გარეშე, უფრო ადვილად და

ურ მახასიათებელზე. ეს შეიძლება იყოს შიში, ტკივილი, რეაქცია სხვადასხვა სენსორულ გამოწვევებზე (ხმაურზე, სხვადასხვა ფაქტურაზე, მძაფრ სუნზე...). შეიძლება ითქვას, რომ მისი ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი სწორედ სენსორული სფეროს გადატვირთვაა, ერთდროულად ბევრი ინფორმაცია სხვადასხვა მგრძობილობის ორგანოდან. მელოდაუნის სრულდება ორიდან ერთ-ერთი გზით: 1) როდესაც იკლებს სენსორული გამოწვევების მოცულობა გარემოში, 2) ბავშვი იღლება და შეიძლება ჩაეძინოს კიდევ. რას ვაკეთებთ ამ შემთხვევაში? მნიშვნელოვანია, რომ მელოდაუნის არ განვიხილოთ როგორც პრობლემური ქცევა. პირველ რიგში, გარემომყოფები უნდა ვეცადოთ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, გავათავისუფლოთ გარემო საფრთხის შემცველი ნივთებისგან და მივცეთ დრო დასამშვიდებლად, შეგვიძლია გამოვიყენოთ დამშვიდების სხვადასხვა გზა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მივცეთ დამხმარე ინსტრუქცია დასამშვიდებლად, მაგალითად: „დიდოვანე ათამდე და

საკობრივი კრიზისი დაკავშირებულია ბავშვის განვითარების ეტაპებთან... თუ ქცევა, რომელიც გარკვეული ასაკისთვის არის დამახასიათებელი (მაგალითად: ტანტრუმი - 2-3 წლის ასაკში), შემდგომშიც ხშირია, მაშინ ეს ფაქტი არ დატოვოთ უყურადღებოდ და მიმართეთ სპეციალისტს კონსულტაციისთვის

სოციალურად მისაღები ფორმით შეძლოს სასურველის მიღება ან არასასურველისაგან თავის დაღწევა. **თქვენი დაკვირვებით, დღეს რა არის ყველაზე მეტად პრობლემური?** - ბუნებრივ გარემოში (მლაზი-აში, ქუჩაში) ხშირად შეხვდებით ბავშვებს, რომლებიც ტირიან, ყვირიან, ფეხებს აბაკუნებენ ან, სულაც, მიწაზე წვებიან სასურველის მიხედვად. შეიძლება ითქვას, ტანტრუმი (ემოციების „ამოხეიქვა“) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რთული ქცევაა, რომელიც განსხვავდება თავისი სიძლიერით (ამპლიტუდით) და ფორმითაც (ტაიპოგრაფიით), მსუბუქი ყვირილით ნაწყვეტული და დასრულებული ნივთების სროლით, სხვათა ან თვითდამახასიათებელი ქცევით. აქვე მინდა აღვნიშნო განსხვავება „ტანტრუმსა“ და „მელოდაუნს“ (მოწყვლადი ფსიქიკა) შორის. ვინაიდან ეს ქცევები ერთნაირად გამოიყურება, რთულია მათი ერთმანეთისგან გარჩევა, თუმცა მათი გამოწვევი მიზეზი სხვადასხვაა და, შესაბამისად, სხვადასხვანაირად უნდა მოხდეს მათზე რეაგირება. ტანტრუმის შემთხვევაში ბავშვი გვაძლევს სიგნალს შიშის, ძილის სურვილის ან ორგანიზმში არსებული სხვადასხვა დისკომფორტის შესახებ. ასაკის მატებასთან ერთად მატულობს სოციალურ-კომუნიკაციური უნარები - ბავშვები უკვე შესტევენ ან მეტყველებენ მეშვეობით გვამცნობენ თავიანთ საჭიროებებს. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სფეროს უნარების განვითარება შეფერხებულია, ბავშვები კვლავ განაგრძობენ ტირიანს სასურველის მიხედვად. აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, თუ რა ასაკიდან შეიძლება გამოვლინდეს პრობლემური ქცევა. ეს ინდივიდუალურია და დამოკიდებულია როგორც განვითარების მახასიათებლებზე, ასევე, გარემოზე, რომელშიც სხვადასხვანაირად პასუხობენ ბავშვის ამა თუ იმ ქცევას. აღსანიშნავია ისიც, რომ რთული ქცევა ნებისმიერ ასაკში შეიძლება გამოვლინდეს, ან სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა პრობლემურმა ქცევამ იჩინოს თავი.

დამშვიდდები“, „ღრმად ჩაისუნთქე და დამშვიდდები“, „დაფიქრდი, რა გინდა და დამშვიდდები“... დამშვიდების ტექნიკის სწავლის საჭიროებისას, სასურველია, მიმართოთ ბავშვთა ფსიქოლოგს. ორივე შემთხვევის (ტანტრუმისა და მელოდაუნის) თავიდან აცილების მიზნით ან მათ შესამცირებლად აუცილებელია, ბავშვებს მანამდე ვასწავლოთ სხვადასხვა ემოციის ცნობა ნახატზე, სხვა ადამიანზე, საკუთარი ემოციის დიფერენცირება და მათი გამოხატვა სასურველი გზით, თუნდაც ვოკალურად, მაგალითად: „მე ახლა გაბრაზებული ვარ, სათამაშო რომ წამართვეს“, „მე გაღიზიანებული ვარ ხმაურის გამო“... **რა შეიძლება იყოს პრობლემური ქცევის გამოწვევი მიზეზი?** - ზოგადად, ყველა ქცევას 4 ძირითადი ფუნქცია აქვს: 1. სასურველის მიღება (ტელეფონი, ტკბილეული, სათამაშო...); 2. ყურადღების მიღება; 3. რაიმესგან თავის აცილება; 4. სიამოვნების მიღება (სენსორული განმტკიცება). ზოგჯერ ქცევას შეიძლება მრავლობითი ფუნქცია ჰქონდეს და ზემოთ ჩამოთვლილთაგან რამდენიმეს მოიაზრებდეს. იმისთვის, რომ დაიგეგმოს რთული ქცევასთან გამკლავების სწორი სტრატეგია, აუცილებელია კონკრეტული ქცევის ფუნქციის ცოდნა, რასაც ჩვენს სფეროში 3 სხვადასხვა გზით ვიგებთ: 1. არაპირდაპირი დაკვირვება, რაშიც იგულისხმება მშობლების ან კლიენტის სხვა წარმომადგენლის ინტერვიუება, გამოკითხვა; 2. პირდაპირი, როდესაც ბუნებრივ გარემოში უშუალოდ ვაკვირდებით ბავშვის ქცევას, ვიწვეთ მის რაოდენობრივ მახასიათებლებს (სიხშირე, ხანგრძლივობა...), ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრეთ წოდებული ABC ბლანკის შევსებას, სადაც ვიწვეთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უსწრებს უშუალოდ წინ ქცევას და რა შედეგი მოსდევს მას; 3. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც სხვა გზით ვერ მოხერხდა ქცევის ზუსტი ფუნქციის განსაზღვრა, ტარდება ქცევის ექსპერიმენტული ანალიზი, რისი ჩატარების უფლებაც მხოლოდ ამ მიმართულებით კომპეტენტურ ქცევის ანალიტიკოსებს აქვთ.

სებს აქვთ. ზოგი ბავშვისთვის შეიძლება რთული სათქმელი იყოს - „გთხოვ, მოკლადი მომეცი“ და წამოიყვიროს, როცა მოკლადი უნდა. თუ ამ დროს მიაწოდებენ მას სასურველს, ის ხვდება, რომ მისთვის გაცილებით მარტივია უბრალოდ წამოიყვიროს და მოკლადსაც მამინებში მიიღებს. რას ვაკეთებთ ამ დროს? როცა ბავშვი რაიმეს არასასურველი გზით ითხოვს, მას არ ვაწოდებთ სასურველს (მოკლადს), შეგვიძლია ვთხოვოთ, მშვიდად თქვას „მოკლადი“ ან, თუ ამ სიტყვის თქმა არ არის მის ქცევით რეპერტუარში, უბრალოდ, თითოთ გვაჩვენოს, რა უნდა და მხოლოდ ამის შემდეგ მივაწოდოთ ის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როდესაც, ერთი მხრივ, ვაქრობთ პრობლემურ ქცევას მისი ფუნქციონირების გამოდინარე (არ ვაწვდით სასურველს, ან ვაივნორებთ, ან არ ვაძლევთ დავალებიდან გაქცევის საშუალებას, ან ისე ვცვლით გარემოს, რომ ვეღარ მიიღოს სიამოვნება ამ ქცევით), მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა მოხდეს სოციალურად მისაღები ქცევის განმტკიცება და თან შევაქოთ იმისთვის, რომ მშვიდად ითხოვს სასურველს. ეს კომპონენტი ხშირად ავიწყდებათ მშობლებს, მშვიდად ნათქვამზე არ აქცევენ ხოლმე ბავშვს ყურადღებას და მაშინ იწყებენ

დოს და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, მშობლებს გვიჩვენებია, ჩვენ ვაკეთებთ თვითვე უფრო სწრაფად და ხარისხიანად, თუმცა ჯობია, გამოვიყოთ დრო და დაველოდოთ მის დამოუკიდებელ მცდელობებს, რადგან ეს არაჩვეულებრივი პერიოდი ფუნქციური, ადაპტიური უნარების დასასწავლად. 3) 7 წლის კრიზისი - ეს ის პერიოდია, როცა ბავშვი სკოლაში შედის. 7 წლამდე ასაკის ბავშვისთვის თუ წამყვანი ქცევა თამაში იყო, ახლა ის ახალ ეტაპზე გადადის და მისთვის საბავშვო ქცევა ხდება სწავლა, აკადემიური უნარების დაუფლება. თუ ბავშვს მეცადინეობის პროცესი კარგად არ გამოხდის, ამის გამო არ ვუსაყვედუროთ, პირიქით, აღმოვჩინოთ დამხმარება არა მხოლოდ სწავლის, არამედ სოციალიზაციის პროცესშიც. დღის ბოლოს ვკითხოთ, როგორი დღე ჰქონდა, დასვენებებზე რა ითამაშა და სხვა. 4) 13-15 წლის კრიზისი - ის ემთხვევა ბავშვის გარდატეხის ასაკში გადასვლას. მას თან ერთვის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები, სექსუალური მომწიფება. მოზარდი თავს უკვე დიდად აღიქვამს. ავტორიტეტი მშობლებიდან მეგობრებზე ინაცვლებს. ამ დროს მნიშვნელოვანია მშობლების არა დირექტიური დამოკიდებულება შვილების მიმართ, არამედ მათთან, როგორც მეგობართან, ისე საუბარი, აღიარება, რომ მათი შვილი მართლაც დიდად და მისი გადაწყვეტილებები და აზრი მნიშვნელოვანია ოჯახისთვის. შეიძლება ითქვას, ასაკობრივი კრიზისი დაკავშირებულია ბავშვის განვითარების ეტაპებთან და თითოეულ ეტაპზე მშობლის შესაბამისი მზაობა და მხარდაჭერა ამ კრიზისების მარტივად გადალახვას განაპირობებს. თუ ქცევა, რომელიც გარკვეული ასაკისთვის არის დამახასიათებელი (მაგალითად: ტანტრუმი - 2-3 წლის ასაკში), შემდგომშიც ხშირია, მაშინ ეს ფაქტი არ დატოვოთ უყურადღებოდ და მიმართეთ სპეციალისტს კონსულტაციისთვის.

როგორ უნდა დაეხმაროს მშობელი ბავშვს რთული ქცევის მართვაში?

- რა თქმა უნდა, უმჯობესია, ინდივიდუალურ შემთხვევებზე ქცევის განხილვის შემდეგ შემუშავდეს კონკრეტული ინტერვენციის გზები და გაიცეს რეკომენდაციები. თუმცა, საერთო რჩევა არის ის, რომ მშობლებმა შეინარჩუნონ სიმშვიდე, დაფიქრდნენ, რასთან არის დაკავშირებული ეს ქცევა, რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს მას, შეაქონ ბავშვი მაშინ, როდესაც კარგად იქცევა. თუ ქცევა თვით ან სხვაგვარად დამახასიათებელია, შეიძლება ფიზიკურად დაბლოკონ ის, შექმნან უსაფრთხო გარემო. საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ სპეციალისტს, ქცევით ანალიტიკოსს, ან ქცევით ტექნიკოსს, ვინც დაეხმარება რთული ქცევის შემცირებაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ქცევის გამოყენებით ანალიზის გზით.

დაპირება, საჩუქრები, რამდენად გამართლებულია ეს მეთოდები რთული ქცევის აღმოსაფხვრელად?

- შედეგების სტრატეგიებიდან ყველაზე ხშირად ვიყენებთ განმტკიცებას. სასურველი ქცევის გამოვლინის შემთხვევაში ბავშვს ვაწვდით სხვადასხვა ტიპის განმამტკიცებელს, რაც ეფექტურად ზრდის სასურველ ქცევას და, ამასთან, პარალელურად, ვშუშობთ არასასურველი ქცევის ჩაქრობაზე, რაც დიდ შედეგებს გვაძლევს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს, რომლებიც არ არიან ამ დარგში მომწიფებები, ხშირად განმამტკიცებლის მიწოდება და მოსყიდვა ერთმანეთში ერევათ. განმამტკიცებელს ბავშვი ღებულობს სასურველი ქცევის

„ვსდრილო, კათილი ფიქრები კათილ საქმეებად ვაქსიო“

ლაშა ხოშიანიძე 593 50 82 69

ლაშა ხოშიანიძის გამოკრეული და წარმატებული ანალოგიაა, ნაყოფიერი საქმიანობით რომ იბყრობს ყურადღებას. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მრჩეველი, ბიზნესმენი, ბსუ-ის ლექტორი მალე დოქტორანტურასაც წარმატებით დაასრულებს...



ჩვენი სულის... ჩემი მეგობრები ნამდვილად ჩემი სულიერი ნათესავებია, ახლობლები და ერთგულები.

ლაშას საინტერესო ინტერვიუებს ჩვენი გაზეთის მკითხველები არაერთხელ გაცნობიან, ამჯერად კი ეს ბლიცინტერვიუ მის სულიერ სამყაროში გამოვზაფრებთ.

- საიდან მოდისხარ?

- დავიბადე და გავიზარდე აჭარის ულამაზეს ხულოს რაიონში. იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. იქ არის ჩემი ფეხები, ამ კუთხესთან არის დაკავშირებული წარსულის ლამაზი მოგონებები, რომლებიც დიდ ბედნიერებას მანიჭებს.

- რა ისწავლით?

- რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლო უკვე დაგროვილი ცოდნისა თუ გამოცდილების მიუხედავად.

- ამ ეტაპზე რას საქმიანობთ?

- ვმუშაობ კერძო სექტორში, ვარ კომპანიის მენეჯერი, ასევე ვუძღვები იაპონური ენის შემსწავლელ სალექციო კურსს ბსუ-ში. ვარად ამისა, მსურველებს ვასწავლი იაპონურ ენასა და კულტურას, თურქულ ენას კი ინდივიდუალურად. ვარ აჭარის ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვმუშაობ აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მრჩეველად და ლობლომტიურ საკითხებში, ასევე ვარ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგატი. ამასთან ერთად, თავდაცვით ვაგრძელებ სწავლას - ვარ დოქტორანტურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

- მეგობრები თქვენი სულიერი ნათესავები არიან?

- როგორც არისტოტელე ამბობს: „ნათესავი ნაწილია ჩვენი ხორცისა, ხოლო მეგობარი ნაწილია“

- როცა სევდა გეუფლებათ, როგორ უმკლავდებით?

- სევდას შეუძლია დიდი გავლენის მოხდენა ადამიანზე, როცა თავს სევდიანად გგრძნობ, ვცდილობ ყურადღების გადატანას. ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ან ახლობლებთან ურთიერთობა, მათთან დროის გატარება განწყობას მიმდობს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აუცილებლად გავდივარ ბუნებაში. ეს ძალიან მენამარტება ფიზიკურ განვითარებაში, აზრების თავმოყრაში, ხედვისა და ფიქრების არეალის გაფართოებაში.

- რწმენა ნავსაყუდელია?

- რწმენა ცხოვრების კომპასია.

- ოჯახი ბედნიერების სათავეა?

- თუკი დაოჯახებამდე, ძირითადად, ორიენტირებული ხარ იმაზე, რომ საკუთარ თავს ახამოვნი, ოჯახის შექმნის შემდეგ ზრუნვის ობიექტების რაოდენობა იზრდება, ჩვენი ცხოვრება მოტივირებული ხდება და ეს არის ზუსტად ის, რაც თავს ბედნიერად გვაგრძნობინებს.

- როცა ფიქრები მოგეძალებათ...

- ფიქრი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური. ორივე შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა. მაგალითად, ნეგატიურმა ფიქრებმა ისე არ უნდა გავიტაცოს, რომ მთლიანად მოგვიცვას და განზოგადდეს. ასევე, პოზიტიურ ფიქრებსაც სჭირდება ბალანსის დაცვა, რათა არ დავკარგოთ ობიექტურობა. ძალიან ბევრი საკითხია, რომლებზეც ყოველთვის ვფიქრობ, ვმსჯელობ, ვდარდობ, ვაანალიზებ. თუმცა ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალია ამქვეყნიური ცხოვრების პირნათლად განვლა. ვცდილობ, კეთილი ფიქრები კეთილ საქმეებად ვაქციო.

- მიტეგება შეგიძლიათ?

- ღმერთი თუ პატიობს ადამიანს ჩადენილ ცოდვებს და შეცდომებს, მე ვინ ვარ - მიწიერი, რომელ-

- სულს როგორ იმშვიდებთ?

- ადამიანებთან ურთიერთობებით.

- ბუნება და ჩვენ...

- ბუნება ადამიანისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სიცოცხლე. მის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი არსებობა, ოგი გვასაზრდობს. ჩვენი ბუნებასთან ჰარმონიზაცია შემთხვევითი არ არის. ამიტომ საჭიროებს მეტ მოფრთხილებასა და ზრუნვას, რათა ანალოგიურად მოგვექცეს ბუნებაც.

- სამშობლო...

- ამ სიტყვის მნიშვნელობა ყველას თავისებურად ესმის, მე კი ყველაზე შესაბამისად ნოდარ დუმბაძის სიტყვები მიმაჩნია: „სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია“.

- კოსმოსი...

- იმდენად მშვენიერია, რომ გინდა ჩაწვდე მის სასწაულებრივ

- სამადიდო წიგნი...

- წმინდა წიგნი.

- ბიბლია რა წაიკითხეთ?

- კოფი ანანის წიგნი „ინტერვენციები: ცხოვრება ომსა და მშვიდობაში“.

- ცხოვრების არსი...

- ამქვეყნიური სიკეთის მარცვალი იმქვეყნიური ნაყოფისა.

- განსაკუთრებული დღეები?

- ყოველი დღე განსაკუთრებულია, როცა იღვიძებ და ხარ ცოცხალი.

- საყვარელი პოეტი, მწერალი...

- შოთა რუსთაველი.

- რომელ ქვეყანაში იმოგზაურებდით?

- ჩემს ქვეყანაში, საქართველოს ყველა კუთხის მონახულება ჩემთვის პრიორიტეტია.

- საქართველოში ჩამოსულ სტუმარს რის ნახვას ურჩევდით?

„ნეგატიურმა ფიქრებმა ისე არ უნდა გავიტაცოს, რომ მთლიანად მოგვიცვას და განზოგადდეს. ასევე, პოზიტიურ ფიქრებსაც სჭირდება ბალანსის დაცვა, რათა არ დავკარგოთ ობიექტურობა. ძალიან ბევრი საკითხია, რომლებზეც ყოველთვის ვფიქრობ, ვმსჯელობ, ვდარდობ, ვაანალიზებ. თუმცა ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალია ამქვეყნიური ცხოვრების პირნათლად განვლა“

მაც უნდა შეძლოს პატიება. დაიან, შემიძლია მიტეგება.

- განრისხებისას...

- ამ დროს ადამიანები ხშირად ვუშვებთ შეცდომებს, ზოგჯერ გამოუსწორებელსაც კი. ცხადია, მეც ვბრაზდები, თუმცა ვისწავლე ბრაზის მართვა და ვცდილობ, მაქსიმალურად დავიცვა შინაგანი ბალანსი.

- რაზე იტყობით, „ნეტავ შემიძლოს“?

- ნეტავ შემიძლოს, გავაკეთო რამე იმისთვის, რომ საზოგადოება სოციალურ ფენებად არ იყოფოდეს.

- რას ნატრობთ?

- ადამიანთა კეთილდღეობას.

საიდუმლოებას. კოსმოსი სცილდება ამქვეყნიური აზროვნების საზღვრებს, რის გამოც უფრო მეტად გიზიდავს, უფრო და უფრო გიჩნდება სურვილი მისი შეცნობისა. სწორედ ეს არის მისი ხიბლი.

- თავიდან რომ დაიწყეთ სიცოცხლე...

- მეტად მომზადებული და ძლიერი შეგვხვდებოდა ცხოვრებისეულ გამოწვევებს.

- თქვენი ჰობი?

- სუმო, ბილიარდი, გოლფი.

- შეცდომებზე თვალს ხუჭავთ?

- ცხადია, ყოფილა შემთხვევები, როდესაც დამიხუჭავს თვალი, თუმცა ეს გამართლებულად არასდროს მიმაჩნია.

- ღირსშესანიშნავი და საინტერესო ადგილი უამრავი გვაქვს და ძალიან გამაბიჯრებს რომელიმე გამორჩევა. გაჩნდა სტუდენტის ინტერესის სფეროს.

- მილიარდერი რომ იყოთ?

- თანხის დიდ ნაწილს ქველმოქმედებაში დავხარჯავდი.

- როგორ ბათუმში ისურვებდით ცხოვრებას?

- ქართველებით სავსე ბათუმში.

- დაბოლოს, შეიტყობთ საკუთარ თავს.

- ყოველდღე ვუსვამ თავს ამ კითხვას: რა გავაკეთე დღეს ისეთი, რომ მეამაყა საკუთარი თავით და ამით ბედნიერი ვყოფილიყავი?

უკრაინა

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი ეპიფანე აღდგომას, 16 აპრილს, კიევი-პეროვის ლავრაში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღავლენს წირვას. მისი თქმით, სააღდგომოდ კომენდანტის საათი არ მოიხსნება, რაც გარკვეულ სირთულეებს შექმნის, რადგან მოსახლეობა დამიქალაქში გადაადგილებას ვერ შეძლებს. ამიტომ, მსახურება, სავარაუდოდ, კომენდანტის საათის დასრულების შემდეგ, დილით შესრულდება. ეპიფანემ, ასევე, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებზეც ისაუბრა, რომლებსაც ლავრის დატოვება არ სურთ. „ჩვენ არ ვართ მომხრე, რომ კიევ-პეროვის ლავრიდან ბერები განდევნონ. ჩვენ მომხრე ვართ, „რუსული სამყაროს“ სული აქ არ გაბატონდეს. ლავრაში ღვთისმსახურება უკრაინულ ენაზე უნდა იყოს, რათა იქ ყოველთვის აღველინებოდეს უკრაინული ლოცვა ჩვენი უკრაინისთვის“, - განაცხადა მიტროპოლიტმა.

ყოველდღიური მსხვერპლის მიუხედავად რუსები მაინც აგრძელებენ შეტევას. ყველაზე ცხელი წერტილები ახლა არის ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკასა და მარინკას მიმართულებები, - აღნიშნულია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშში. უწყების ცნობით, ამ მიმართულებებით მოწინააღმდეგის 58 შეტევა მოიგერიეს. გენშტაბის განცხადებით, მტერი არ წყვეტს ქალაქ ბახმუტზე სრული კონტროლის მოპოვების მცდელობებს, ქალაქისთვის სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს. ამასთან, მტერმა წარუმატებლად შეუტია ბოგდანოვკის და ხრომოვოს დასახლებებს - უკრაინელებმა იქ 30-ზე მეტი შეტევა მოიგერიეს. დონეცკში ყველაზე სასტიკი ბრძოლები ავდიივკისა და მარინკისთვის მიმდინარეობს, სადაც უკრაინელებმა მტრის 20-ზე მეტი შეტევა მოიგერიეს. გენშტაბში აცხადებენ, რომ შახტიორსკის, ზაპოროჟიესა და ხარკოვის მიმართულებებით მტრის შეტევა არ დაფიქსირებულა.

რუსმა ოკუპანტებმა ბახმუტში „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკის გამოყენება დაიწყეს, ქალაქში სიტუაცია რთულია, მაგრამ კონტროლირებადი, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მეთაურმა ალექსანდრე სირსკიმ განაცხადა. მისი ინფორმაციით, მტერი გა-

დავიდა ე. წ. გადამწვარი მიწის ტაქტიკაზე. ისინი ანადგურებენ შენობებს და პოზიციებს საჭაერო დარტყმებითა და საარტილერიო ცეცხლით. ბახმუტის თავდაცვა გრძელდება. სიტუაცია რთულია, მაგრამ კონტროლირებადი და ბრძოლა ორივე მხრიდან მიმდინარეობს. ცნობილია, რომ 9 აპრილს სირსკიმ ბახმუტის მიმართულებით ფრონტის ყველაზე ცხელი სექტორი მოინახულა. ის სამხედრო ნაწილების მეთაურებს გაესაუბრა და ადგილზე ოპერატიული გადაწყვეტილებები მიიღო.

ამერიკის „ომის შემსწავლელი ინსტიტუტის“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსკოვი, სავარაუდოდ, შეეცდება, აღდგომის დღესასწაული, ცეცხლის შეწყვეტის მოწოდების გზით, უკრაინის კონტრშეტევის გადადებისთვის გამოიყენოს. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ კრემლში შერჩევით მოუწოდებს ცეცხლის შეწყვეტისკენ რელიგიური დღესასწაულების დროს, რათა გავლენა მოახდინოს ფრონტის ხაზზე არსებულ ვითარებაზე. მაგალითად, კრემლმა უარი თქვა ცეცხლის შეწყვეტაზე 2022 წლის მართლმადიდებლური აღდგომის დროს იმისთვის, რომ მარიუპოლის ბრძოლის დროს „კიევის ნაციონალისტებისთვის“ შესვენების საშუალება არ მიეცა. კრემლმა, სავარაუდოდ, უარი თქვა ცეცხლის შეწყვეტაზე, რადგან რუსული ძალები იმ დროს ფრონტზე ინიციატივას არ ფლობდნენ, მაგრამ შეეცადა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაწესებას რამდენიმე თვის შემდეგ, მართლმადიდებლური შობის დღესასწაულის დროს, რათა მიეღო დამატებითი დრო რუსული ძალების ზამთრის შეტევისთვის მოსამზადებლად. მათივე შეფასებით, კრემლმა, შეიძლება, სააღდგომო ცეცხლის შეწყვეტა მოითხოვოს, რადგან ასეთი პაუზა არაპროპორციულ სარგებელს მოუტანს რუსეთის ჯარებს და საშუალებას მისცემს მათ, უზრუნველყონ თავიანთი მიღწევები ბახმუტში და უკრაინის 2023 წლის გაზაფხულის კონტრშეტევისგან თავის დასაცავად მოემზადონ.

უკრაინამ ხერსონიდან რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ დეპორტირებული 24 ბავშვი დაიბრუნა. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, ბავშვები საქველმოქმედო ფონდ Save Ukraine-ს მოხალისეების წყალობით დაბრუნდნენ. ბავშვებს ხერსონის ოლქის სამხედრო

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე პროკუდინი დახვდა, გაესაუბრა და საჩუქრები გადასცა, მათ შორის, ონლაინწავლისთვის საჭირო პლანშეტები და ლეპტოპები. სახელმწიფო პორტალ „ომის ბავშვების“ ინფორმაციით, 10 აპრილის მდგომარეობით, რუსებმა უკრაინიდან 19 384 ბავშვის დეპორტაცია განახორციელეს. უკრაინამ 361 ბავშვი დააბრუნა.

პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების სოციალურ ქსელებში გაჟონვამ ცხადყო, რომ აშშ თვალყურს ადევნებს როგორც თავის მოკავშირეებს, ისე მტრებს, - იუწყება CNN-ი წყაროებზე დაყრდნობით. მათი თქმით, ამ ფაქტმა „ღრმად შეაფიქრა აშშ-ის ოფიციალური პირები“, რომელთა აზრითაც, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას საერთაშორისო ურთიერთობებს. „ზოგიერთი დოკუმენტი, რომელიც, აშშ-ის ოფიციალური პირების თქმით, ნამდვილია, ამხელს აშშ-ის საკვანძო მოკავშირეების, მათ შორის, სამხრეთ კორეის, ისრაელისა და უკრაინის მოსმენების მასშტაბებს“, - ნათქვამია CNN-ის პუბლიკაციაში. გაჟონილი მასალების ერთი ნაწილიდან ირკვევა, თუ რამდენად შეადრია აშშ-მა რუსეთის თავდაცვის სამინისტროში და რუსულ კერძო სამხედრო კომპანია „გავგენრში“, სხვა ნაწილი კი ავლენს უკრაინის შეიარაღებაში, საჭაერო თავდაცვაში, ბატალიონების მოცულობასა და მზადყოფნაში არსებულ ნაკლოვანებებს და ეს იმ „კრიტიკულ მომენტში“, როდესაც უკრაინული ძალები რუსების წინააღმდეგ კონტრშეტევისთვის ემზადებიან. „გაჟონების გამო უკრაინამ უკვე შეცვალა თავისი სამხედრო გეგმები“, - განუცხადა CNN-ს უკრაინის პრეზიდენტთან დაახლოებული წყარომ. ამასთან, როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა საბრინა სინგმა განმარტა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ უკვე მიიღო „უწყებთაშორისი ძალისხმევები“ გაჟონების შედეგების შესაფასებლად. „ნიუ-იორკ თაიმსმა“ დოკუმენტების გაჟონვას რუსული დაზვერვის ყველაზე დიდი წარმატება უწოდა სამხედრო კონფლიქტის დაწყების დღიდან. მიუხედავად იმისა, რომ როგორც გაზეთის წყაროების ცნობით, ამ მონაცემებიდან ბევრი მოძველებულია, მოსკოვი მაინც შეძლებს ბევრი სასარგებლო ინფორმაციის მიღებას.

მოამზადა ნაირა ვუტპარაძემ



სოფლად ტურიზმის განვითარების

ამ დღეებში ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე იტალიაში, ბერგამოს სოფლის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე იმყოფებოდა. იგი „აჭარასთან“ იქ მიღებულ შთაბეჭდილებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე საუბრობს.



- ბატონო იმედა, რა ფაქტორებმა განაპირობა თქვენი და ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის დირექტორის რაულ ცინცაძის ბერგამოში მიწვევა?

- ამ ღონისძიებაში ჩვენი ჩართულობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ერთ-ერთი მთავარი ის არის, რომ აჭარის მთიან რეგიონში სოფლის ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ქედის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა. ვიზიტის ფარგლებში, იტალიაში პოპულარიზაცია გავუწიეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლისა და ეკოტურიზმის მიმართულებით, გავაცანით რეგიონის კულტურა და კულინარია. გამოფენის პროცესში მასპინძლებსა და ვიზიტორებს შესაძლებლობა ჰქონ-

ილი პროდუქციის შექმნის სურვილი, რისთვისაც, დაახლოებით, 200-მდე სავიზიტო ბარათი გავცვიტო.

- იტალიურ გამოცდილებასაც შეიძენდით. მათ დასაწერად რა დროა საჭირო?

- იტალიური გამოცდილების დანერგვაზე მუშაობა წელსვე დაიწყება. როგორც იცით, ქედის მუნი-

ციპალიტეტის მერიის მინიმუმამდე დაეცვან და ერთ მაგიდასთან სხვადასხვა პროდუქციის წარმოჩენა.

- აჭარის მთიანეთში ყველაზე მეტად სოფლის ტურიზმში ქედაში ვითარდება. ასეთ წარმატებას რის საფუძველზე მიაღწიეთ?

- ეს ყველაფერი მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. კე-

ის დიდ დაინტერესებას იწვევს ვიზიტორებში, რაც აისახება ტურისტების სიმრავლეზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სხვადასხვა პროდუქტის განვითარება კი ეკონომიკურ ღირებულებათა ჯაჭვს ქმნის.

- მთავარი ტურისტული ობიექტი მზუნველი და იქ არსებული ჩანჩქერია. რა სახსრები დახვედრათ აქ უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტორებს?

- ყოველდღიურად იზრდება სხვადასხვა სერვისის შეთავაზების სურვილი, რასაც უნდა მომავალში კიდევ დავნერგავთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა მზუნველობისა, უახლოეს მომავალში დოლორის „ჭინკაძეების“ ჩანჩქერთან მასსავლელი გზაც მოეწყობა, რაც ხელს შეუწყობს ახალი ობიექტის ტურისტულ დატვირთვას და განვითარებას. მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 5 ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტი, რომლის განხორციელებაც მომავალ წელს დაიწყება. მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული და მატერიალური ძეგლებით, რამდენიმე მათგანს რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა, ახლა მთავარია მათი წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

- მერისის ხეობისა და მთა ღომის ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად რას აპირებთ?

- აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მერისის მთა ნაკონაღვარში მოაწყო საბიკინკე სივრცე, აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ვიზიტორების გაზრდას და მერისის ხეობის პოპულარიზაციას.

- სოფლის ტურიზმის, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისა და ადგილობრი-

ვი კულინარიის წარმოჩენისთვის ამ ეტაპზე რა კეთდება?

- ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრმა გასულ წელს მოაწყო ინფო და მედიატურები, ყოველკვირეულად სხვადასხვა წარმატებულ პლატფორმაზე ვაქცევენ ფოტოებს, ვიდეომასალებს. ცენტრმა ჩაატარა „შემოდგომა ქედაში“ და ღვინის ფესტივალი, რომელზეც წარმოდგინდა იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტები. მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია აქტიურად გაგრძელდება, იგეგმება სხვადასხვა ტიპის ფესტივალები, სამუშაო შეხვედრები.

- დონორი ორგანიზაციებისა და ევროკავშირის დაფინანსებით 100-ზე მეტი ტურისტული ობიექტი მოეწყო. კიდევ ვისი ჩართულობის იმედი გაქვთ?

- არაერთი პროექტი განხორციელდა პროგრამის - „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში. ასევე, გვეგმავე თანამშრომლობას GIZ-თან (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება). აქტიურად ვთანამშრომლობთ UNDP-სთან (გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში).

- მონაწილეობით ბიუჯეტი და სოფლის ტურიზმი...

- როგორც მოგვხსენებთ, ტურიზმის განვითარებისთვის მთავარია ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები. ძირითადად, მოქალაქეები აქცენტს აკეთებენ გზების და გარეგანათების მოწყობაზე, რაც მნიშვნელოვანია სოფლად ტურიზმის განვითარებისთვის.

- უახლოეს პერიოდში რა აქტივობები გექნებათ?

- გვეგმავე ინფო და მედიატურების განხორციელებას ქედის ტერიტორიაზე არსებულ ტურისტული ობიექტების ცნობადობის ამაღლების მიზნით, ივნისში კი დაგეგმილი გვაქვს ღვინის ფესტივალის გამართვა.

ქედის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ტურისტული ობიექტების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. საოჯახო ტიპის სასტუმროებში თითოეულ ტურისტს შესაძლებლობა აქვს, მასპინძელთან ერთად ჩაერთოს მევენახეობაში, მეფუტკრეობასა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ეს პროცესი დიდ დაინტერესებას იწვევს ვიზიტორებში, რაც აისახება ტურისტების სიმრავლეზე

დათ, დაეგვიმონებინათ მუნიციპალიტეტში დამზადებული ტრადიციული ღვინო, ყველი, ჩირქული და ჩურჩხელა. ჩვენი რეგიონის საგამოფენო მაგიდასთან ბერგამოს სტუმარმა მოიყარა თავი. რამდენიმე მათგანმა ღვინისა და ჩირქულის დაგემოვნების შემდგომ, იქვე დააგვიმა აჭარის ტური. ბევრს გაუჩნდა წარმოდგენ-

ციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება ისეთი კულტურული ღონისძიებები, როგორცაა „შემოდგომა ქედაში“ და „ღვინის ფესტივალი“. მათი ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი დეტალი, რამაც იტალიაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო, კერძოდ, სხვადასხვა ბიზნესის გა-

რძოდ. ქედის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ტურისტული ობიექტების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. საოჯახო ტიპის სასტუმროებში თითოეულ ტურისტს შესაძლებლობა აქვს, მასპინძელთან ერთად ჩაერთოს მევენახეობაში, მეფუტკრეობასა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ეს პროც-

9 აპრილს მიიქმენა სპორტის ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად

ქედაში, 9 აპრილის მემორიალთან ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, ქედის ხანდაზმულთა კლუბის წევრები შეიკრიბნენ. მათ მემორიალი გვირგვინითა და ტიტუბით შეამკეს.

1989 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში 21 დაღუპულის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ხალხის ეპარქიის მღვდელმსახურმა, დეკანოზმა ევდემოზ ალელიშვილმა გადაიხადა.

ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ-

შემდეგ განვითარებული მოვლენები გაიხსენეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაყაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძემ, პოეტმა ფრიდონ დავითაძემ და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა მამა გიორგიმ და მამა იოანემ.

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ გმირებს

შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებს შეუერთდა და შუახევის სპორტული ცენტრის დარბაზში „სპორტის დღე“ აღნიშნა.

შუახევის საკრებულოს და მერიის მხარდაჭერით, სპორტული ცენტრისა და რესურ-

რტსმენებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, სპორტის სფეროში მომუშავეებს, გულშემატკივრებს სპორტის საერთაშორისო დღე მიულოცეს და გამარჯვებულებს საპატიო სიგელები და თასები გადასცეს.

- „საერთაშორისო სპორტის დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის“ - ასეთი იყო ამ



მა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ელესამ“ საგალობლები შეასრულა.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები გაიხსენეს შუახევში. რიკინეთში 9 აპრილის მემორიალთან დიდიდანვე ხალხმრავლობა იყო. მემორიალის გვირგვინითა და ყვავილებით შემკობის შემდეგ 9 აპრილი და

პატივი მიავსეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, საკრებულოს წევრებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.



სცენტრის ორგანიზებით, სამაგიდო თამაშებსა და ფრენბურთში ტურნირი გაიმართა, რომელშიც 70-მდე სპორტსმენი და სპორტის მოყვარული მონაწილეობდა.

ნარდში პირველი ადგილი გომარდულელ ემზარ ჭაღალიძეს ერგო.

9 გუნდი პაექრობდა ფრენბურთში. საპრიზო ადგილები შუახევის სპორტული, ცინარეთისა და ხიჭაურის საჯარო სკოლების გუნდებმა გაიყვეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაყაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძემ სპო-

დლის დევიზი. 2013 წელს, გაეროს 67-ე გენერალურმა ასამბლეამ 6 აპრილი სპორტის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მიღებული დადგენილების თანახმად, ყოველ წელს, საქართველო მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავს ამ თარიღს, - გვითხრა შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ელუარდ გოგრაჭაძემ, - ღონისძიების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება და სპორტის პოზიტიური როლის წარმოჩენა.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინცაძემ



რუსეთს საქართველოში... საწყობები არ ჰყოფნის (!?)

რუსული „კომერსანტი“ მიერ გავრცელებულ NF Group-ის კვლევაში წერია, რომ რუსეთს პარალელური იმპორტისთვის დსთ-სა და პოსტსაბჭოთა სივრცის სატრანზიტო ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში საწყობების დეფიციტი გაუჩნდა.

NF Group-ის პარტნიორი კონსტანტინე ფომინენკო აცხადებს, რომ საქართველოში, ისევე, როგორც ყაზახეთში, სომხეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში თავისუფალი სასაწყობო ფართები, პრაქტიკულად, არ არსებობს, ხოლო ბელარუსის საწყობების 1,6 მილიონი კვადრატული მეტრ ფართობიდან ვაკანსიის დონე 2,8%-ს არ აღემატება. უზბეკეთში 207 ათასი კვადრატული მეტრის მთლიანი სასაწყობო ფართიდან თავისუფალი მხოლოდ 4,5%-ია.

გავრცელებული მონაცემების თანახმად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების საწყობებზე რუსული კომპანიების მოთხოვნათა რაოდენობა გაზაფხულის დასაწყისისთვის გაორმაგდა და თითქმის 400 000 კვმ ფართს მიაღწია. ჭკუფის ანალიტიკოსები წერენ, რომ დსთ-ის ბაზრების მიმართ ინტერესი მკვეთრად გაიზარდა შარშან, როცა რუსეთში ლოგისტიკური ჯაჭვების შექმნა პარალელური იმპორტისთვის გახდა საჭირო.

NF Group-ის ცნობით, პოსტსაბჭოთა სივრცეში საწყობებზე ყველაზე მეტი მოთხოვნა მსხვილ საცალო მოვაჭრეებს, მათ შორის ელექტრონული კომერციის ტრეიდერებსა და ლოგისტიკურ ოპერატორებს აქვთ.

ფედერალური საბაჟო სამსახურის მონაცემებით,



2022 წლის მარტიდან, როცა პარალელური იმპორტი დაიწყო, დეკემბრის ბოლოსთვის მისმა მოცულობამ 20 მილიარდ დოლარს, ანუ დაახლოებით 2,4 მილიონ ტონა საქონელს მიაღწია. ამდენად, ლოგისტიკური ოპერატორები აცხადებენ, რომ შესანახი ინფრასტრუქტურის ნაკლებობამ შემდგომი ზრდა შესაძლოა, გაართულოს.

კომპანია CORE.XP-ის სასაწყობო და ინდუსტრიული უძრავი ქონების განყოფილების უფროსი დირექტორი ანტონ ალიაბიევი ამ ვითარებაში ერთ-ერთ გამოსავლად პოსტსაბჭოთა სატრანზიტო ქვეყნებში რუსული კომპანიების მიერ built-to-suit-ის გარეგნობის გაფორმებას მიიჩნევს, რომელიც საკუთარი საჭიროებისთვის საწყობების აშენების შეკვეთას ითვალისწინებს, თუმცა, მისი თქმით, პრობლემა ამ ბაზრებზე სასაწყობო მეურნეობების პროფესიონალი დეველოპერების დეფიციტია, ამიტომ იქ built-to-suit-ის პროექტების რეალიზება აქტიურად თავად რუსმა დეველოპერებმა უნდა დაიწყო.

ამირან ბურბუღიაძე

ბათუმელი არტისტის ნარმატივა ისრაელის საერთაშორისო ფესტივალზე

მატიან ხითაი 0830 27 48 93

ბათუმელი მომღერალი სპეციალური პროგრამის მუსიკალური ჯგუფი „ბაბილონის“ სოლისტია, ისრაელის ქალაქ იერუსალიმში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე იმყოფებოდა.

რა წარმატებას მიაღწია მან, როგორია ფესტივალის ფორმატი, რა კრიტერიუმებით ფასდებოდნენ გოკალისტები, - ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე ჩვენი ინტერვიუდან გაიგებთ.

ყავი წარდგენილი ნომინაციაში „მსოფლიოს გოკალი“. იქ, გარდა გოკალური მონაცემებისა, ამოწმებდნენ სასცენო კულტურას, მანერებს, რეპერტუარს. თან დახურული ფორმატი აქვს, ბევრად უფრო კონსერვატორული გარემოა, ვიდრე სხვა კონკურსებში.

- რომელი სიმღერებით წარსდგებით?

- პირველ ტურში (ონლაინ) გავაზავე მეგრული სიმღერა „ვა გიორქო მა“, რომელიც ჩემი ინტერ-



- მუსიკალური ფესტივალი სახელწოდებით „მსოფლიოს მუსიკა“ ისრაელში, კერძოდ, იერუსალიმში, უკვე მეშუთე წელია ტარდება. მასში მონაწილეობენ მომღერლები თითქმის ყველა ქვეყნიდან. ფორმატს რაც შეეხება, იგი ტარდება როგორც ონლაინ, ასევე ლაივ რეჟიმში.

- რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის კონკურსში მონაწილეობა და რაში დაგეხმარათ ეს ფესტივალი?

- გამომდინარე იქიდან, რომ კონკურსი საკმაოდ რთულია, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის მასში მონაწილეობას, თან პირველი ქვეყანაა, სადაც გავფრინდი. დიდი გამოცდილება შემძინა ამ გამოწვევებში.

- რა ემოციები დაგეუფლათ, ელოდით გამარჯვებას?

- ველოდი, მაგრამ არ გამოვხატავდი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი კონკურსიცაა იყო, პირველი ადგილი ავიღე. ზუსტად ვიცოდი, რისთვისაც ჩავდეიდი, წინათგრძნობამ გაამართლა.

- როგორ ფიქრობთ, რით არის გამოჩენილი ეს ფესტივალი სხვებისგან?

- სხვა ფესტივალებისგან განსხვავებით, იქ არ იდგება შოუ. მე ვი-

პრეტაციით გავაკეთე, დავამატე ქართული ენაზე რითმული ტექსტი. მეორე ტურში უკვე სცენაზე ვიმღერე: Back to black (Amy Winehouse) და „ჩიტო-გვრიტო“, ხოლო დაჯილდოების კონცერტზე ვიმღერე სიმღერის „Insensitive“-ს ქართული ვერსია, რომელიც სპეციალურად ამ კონკურსისთვის ვთარგმნე.

- რა კრიტერიუმებით ფასდებოდნენ გოკალისტები?

- გოკალით, შესრულების მანერით, სასცენო კულტურით, რეპერტუარით...

- მუსიკალურ შემოქმედებაში რა სახელები გაქვთ? როგორც ვიცო, ელექტრონული მუსიკის წერაც დაიწყეთ?

- სახელებს რაც შეეხება, ბევრი მაქვს... ვსწავლობ ელექტრონულ მუსიკას, სამომავლოდ ახალი სახელით დიდ სცენებზე წარვსდგები როგორც DJ არტისტი. ასევე, ვაგრძელებ საავტორო სიმღერების წერას. ამ ეტაპზე ახალ კლიბებზე ვმუშაობ.

- რა გეგმები გაქვთ?

- მათ, ეტაპობრივად, ჩემს სოციალურ ქსელში იხილავთ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ვაგრძელებ მუსიკის სწავლას და წინსვლას.

ურახში იქილვა 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციხრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

წინასწარ უნდა დაგეგმოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, რათა მისი დასვა შეგვიძლოს

მე-3 გვერდიდან

გენერალ-ლეიტენანტი იარმონი ლინდბერგი გვპასუხობს, რომ ბოლო ექვსი წელია, ამ კითხვის ირგვლივ ფინეთშიც კი კამათობენ და ფინური ბენიფიციების ფორმულის შესახებ თავის მოსაზრებას გვთავაზობს. „ფიქრობ, ჩვენ, ფინელები პრაგმატული ხალხი ვართ. ფინელს და ფინელის სიტყვას შეგიძლია ენდო. პრობლემებს არ გავუბრუნებთ. მაგალითის მოგვიყვანთ - როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ფინეთის მოსახლეობას სულ ერთი კვირა დასჭირდა იმის გასაზრებლად, რომ ნატოში უნდა შეგვსულიყო. ხელისუფლებამაც მსწრაფლვე აღასრულა ხალხის დაკვეთა

და ნატოში წევრობაზე განაცხადი შეიტანა. ასე რომ, ვიტყვით: პრაგმატულები ვართ და როდესაც ვხედავთ, რადაც პრობლემა არსებობს, რადაც არ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს, ვდგებით და ვჭრით ამ პრობლემას. ასეთია ფინელის აზროვნება“.

გერაფერს იტყვი, მშენებელი ფორმულაა, რის გადმოღებაც ქართველებსაც წარმატებით შეგვეძლოს, ერთ აზრზე ყოფნა, ერთმანეთის ნდობა და განსხვავებული მიდგომების გამო ერთმანეთის მტრად და მოლაპარაკებლად გამოცხადება კი არა, მათი შეგრძობა რომ გვეხერხებოდეს. ალბათ ამისთვის სამშობლო საკუთარი მეს წარმოჩენაზე უფრო ღირებულად უნდა მი-

განდეს. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ასე არაა. ფინელები მაგალითზე ის მაინც კარგად უნდა გავითავისოთ, რომ მხოლოდ სხვის იმედზე დარჩენით ვერაფერს მოვიგებთ. ფინეთი რომ სხვისი ხელის შემყურედ დარჩენილიყო, შესაძლოა, დღეს უკრაინის მდგომარეობაში აღმოჩენილიყო და ამაზე პირდაპირ მიგვანიშნა იარმონი ლინდბერგი. ფაქტია, სწორედ ასეთი დამოკიდებულების, საკუთარ თავზე ზრუნვის და ამისთვის კარგად გათვლილი კონკრეტული ნაბიჯების შედეგია, რომ ეს ქვეყანა უპრეცედენტო სისწრაფით მიიღეს ნატოში.

მარი მიახაიძე

როგორ უნდა დაეხმაროს მშობელი ბავშვს რთული ქვეყნის მართვაში?

მე-4 გვერდიდან

გამოვლინებისთანავე, მოსყიდვის დროს კი ბავშვს წინასწარ აძლევენ რაიმე ტიპის საჩუქარს და ეუბნებიან, რომ ასე აღარ მოიქცევი. ეს ვერ მოგვითანს შედეგს, უფრო მეტიც, ასეთი ცნება ქვეყნით გამოყენებით ანალიზში არ არსებობს. აქედან დასკვნა: საჩუქრები გამართლებულია მაშინ, როდესაც სასურველი ქვეყნის შემდეგ არის მიღებული და არა მისი გამოვლენის დაწყებამდე. ეტაპობრივად უნდა მოხდეს განმამტკიცებლის გამოხშირვა, რათა ბავშვმა საჩუქრის მოლოდინის გარეშე შეძლოს სოციალურად მისაღები ქვეყნის გამოვლენა. რაც შეეხება დაპირებას, მას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, როცა ყოველ ჯერზე შესრულდება.

- რჩევა მშობლებს - რა უნდა გავითვალისწინოთ პირველ რიგში?

- გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მშობლებს დიდი ფუნქცია აქვთ, მოიძიონ სხვადასხვა მასალა

სანდო წყაროებიდან, რაც მათ გაუადვილებს პრობლემების გადაჭრის გზების პოვნას. უმჯობესია შეიღებოს ინსტრუქცია პოზიტიურ კონტექსტში შევთავაზოთ, მაგალითად: არ ვუთხრათ „გუბეში არ ჩახტი!“, ვუთხრათ: „გუბეს გვერდი აუარე“. არ ვუთხრათ: „კედელზე ნუ ხატავ!“, ვუთხრათ: „აი, ფურცელზე დახატე“. თუ ცუდად იქცევა, არ უთხრათ, რომ ის ცუდია, უთხარით რომ ქვეყანა ცუდი. რადგან იარაღის მიწვევებამ, რომ ის „ცუდია“, „უხრდელია“, „ჩივტი“, შეიძლება გაზარდოს ამ ქვეყნის გამოვლენის ალბათობა. ბავშვს აუცილებლად უნდა მივაწოდოთ განმამტკიცებელი, როდესაც ავლენს სასურველ ქვეყნას. ზოგჯერ დაგვიანებული მეტყველება წარმოადგენს რთული ქვეყნის მიზეზს - ბავშვი ვერ ახვედრებს გარემომყოფებს, რა უნდა. ამ შემთხვევაში სასურველია, ვიმუშაოთ მეტყველებით კომუნიკაციურ უნარებზე. რთული ქვეყანა უნდა იყოს მშობლისთვის სიგნალი იმისა, რომ ბავშვს რაიმე სჭირდება, ან რაიმე დისკომფორტი

აქვს და დაიწყო ქვეყნის მიზეზის ძიება. განთავისუფლებით საზოგადოებრივი სტიგმებისგან და როცა ბავშვი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ცუდად იქცევა, ნუ იფიქრებთ იმაზე, რას იფიქრებენ სხვები, მოიქეცი თუ ისე, როგორც ეს თქვენი შვილის პრობლემური ქვეყნის მომავალი ალბათობის შესამცირებლად იქნება მისაღები. მშობელი უნდა იყოს ბავშვის უსაფრთხოების გარანტი, უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე ბავშვის ქვეყნის მიუხედავად, ის უნდა იყოს მისი ემოციური საყრდენი. ემოციურად ინტელექტუალი მშობელი აუცილებლად დაეხმარება შვილს ემოციების რეგულაციის შესწავლაში. შეუქმნით ბავშვებს უსაფრთხო და მიმდებელი გარემო. პოზიტიური მშობლობა ის საყრდენი ძალაა, რომლითაც მშობელი და შვილი ერთად გაუმკლავდებიან ახალ გამოწვევას. დაბოლოს, თუ მარტოდ გიჭირთ ბავშვების რთულ ქვეყანასთან გამკლავება, მიმართეთ შესაბამის სპეციალისტს.

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარიანა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«ბანკიტი აპარა და ალპარია»</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. პაღალაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგოვოვოს ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>აიწყო და აკაბალონა</p> <p>გაზეთი აპარის ქობ. ცენტრი</p> <p>დასაბავსებელი ნომერი 10/04/23, 21 აპ. სტ.</p>	<p>დირექტორი</p> <p>გამუკა ბერიკა</p>
--	---	---	--	--	---

სოსო სტურუა თავისი ფილმებით დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს

მანანა ბიბიშვილი 598 24 94 97

ამ რამდენიმე წლის წინ აჭარის მწერალთა სახლში სალონურ საღამოზე „სტურუა და ებრაელები“ იმყოფებოდა ეთნოგრაფიული დოკუმენტური ფილმების ავტორი და რეჟისორი სოსო სტურუა. 2003 წელს მას მიენიჭა თედო სახოკიას სახელობის სახელმწიფო დარგობრივი პრემია ოთხი ანთროპოლოგიური ფილმისთვის („მეზობელი“, „სარფი მოღვნი“, „ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“ და „იალაღობა აჭარაში“), ხოლო 2007 წელს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი - წმ. ანდრიას ჯვარი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის („ზარის დაბადება“) გადაეცა.

სოსო სტურუას გადაღებული აქვს 60-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი. მათი უმეტესობა ეთნოგრაფიულია. ეს ფილმები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში, ასევე თურქეთისა და აზერბაიჯანის ქართველებით დასახლებულ რაიონებშია გადაღებული. ამ ნიჭიერი შემოქმედის ფილმებს სასწავლო-საილუსტრაციო მასალად იყენებენ ბათუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ისტორიისა და ეთნოლოგიის მიმართულებით. სალონურ საღამოზე აჩვენეს სოსო სტურუას ფილმების ანონსები და პრომოუშენის რგოლები, რომლებიც წლების წინ გადაიცივებოდა საქართველოს საზოგადოების ეთერში. შეკრებილებმა იხილეს ასევე ეთნოგრაფიული ფილმები ფანდურის დამზადებისა და მეთუნეობის შესახებ და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბაგრატი, გამარჯობა“!

სოსო სტურუას თითოეული ფილმი საქართველოს სიყვარულითაა შექმნილი. სოსო სტურუა ამ ფილმებით ძალიან დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. არ შეიძლება, ეს ნამუშევრები ნახო და ავტორისადმი სიყვარულით არ განიმსჯელო. ამიტომ იყო, რომ შეხვედრამ თითოეული სიტყვა სიტბოთი, ავტორისადმი გამოჩენილი პატივისცემით იყო ნათქვამი.

აღნიშნულ საღამოზე ამ გამოჩენილი პიროვნების შესახებ არაერთმა ბათუმელმა გამოთქვა თავისი დადებითი შეფასება. რამდენიმე მათგანს შემოგთავაზებთ.

თამაზ შუტაბარამ, პროფესორი:

სოსო უხდება ქალაქს, სამეგობროს, მეამაყება, რომ ვიცნობ. 30 წლის წინათ ნაღია გუნდაძე, სოსო და მე ერთად ვიყავით შატილში სავიღო პრაქტიკაზე, მაშინ გავიცანი. მას შემდეგ ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა. ეს ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადამიანური, მეორე მხრივ, შემოქმედებითია. მან შექმნა შესანიშნავი ფილმები, რომლებიც უკვე ნამდვილად არის „ოქროს ფონდში“. მის ეთნოგრაფიულ ფილმებს, რომლებიც საჩუქრად გამოგვცა, დღესაც ხშირად ვაჩვენებთ სტუდენტებს. სოსო კარგი შემოქმედი, ჟურნალისტი და რეჟისორია. ჩვენ გარკვეული

ხნის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით საარქივო სამმართველოში და იქაც თავი გამოავლინა როგორც შესანიშნავი ისტორიკოსმა, ყველა ახსოვს მისი გამოსვლები სხვადასხვა ღონისძიებაზე. უნდა ვთქვა, რომ ის არაჩვეულებრივი თანამეზღვრეცაა, იშვიათი თამადა...

ბელა ჭაბუკია, პოეტი:

- ბედნიერებაა, როცა ადამიანი თავის მოწოდებას იბოვით, ცხოვრებას და შრომაც იოლი ხდება. საყვარელი საქმისთვის დახარჯული დრო და თეთრად გათენებული ღამეებიც სიამოვნებისა და სიხარულის მომტანია. მახსოვს, ადრეც მომხიბლა მისმა 12-წუთიანმა ფილმმა „ბაგრატი, გამარჯობა!“. დროის ამ მცირე მონაკვეთში ავტორმა უამრავი საინტერესო და ყურადსაღები აქცენტისა და მინიშნების გაკეთება მოასწრო - როგორ უნდობლად უყურებს ორივე მხარე ერთმანეთს, მესამე ძალის სასტიკი და შუღლის გამღვივებელი ხელი, სიკეთის გზა, ხელოვანი ადამიანის დამოკიდებულება გარე სამყაროსა და პოლიტიკური მოვლენებისადმი, ხალხის ნება, სტრატეგიული გზის ჩვენება ალუზიური მეთოდით, რომელსაც ზვიად გამსახურდიას ერთიანი კავკასიური სახლის შექმნის იდეამდე მივყავართ და მინც, ფილმის მთავარი ეგრეთ წოდებული სადევნო ფრაზაა: „რუსული გარემოთი აფხაზურ მელიოდის ვერ დაუტყარა!“. სწორად აქ ჩანს ევროპის მსოფლმხედველობა და ფილმის სულიერი სტრუქტურა. რაც შეეხება მის დოკუმენტურ და ეთნო-დოკუმენტურ სატელევიზიო ფილმებს, ვფიქრობ, უკვე არის პირველწყარო და საიმედო მასალა მომავალი თაობებისთვის, მათთვის, ვინც წარსულის ღამაში ფურცლების გადაშლას და კვლევას გადაწყვეტს. მის მიერ ფილმებში ასახული კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი დარგები წარსულის საკუთრება თუნდაც იმით ხდება, რომ ტექნოლოგიური პროცესები ავტომატიზებული გახდა. ერთ-ერთი ასეთი ფილმი შეხვედრაზეც იქნა ნაჩვენები და მეთუნეთა ხელობას მიწის მოხელას შეეხებოდა. სულგანაბლნი ვუყურებდით მთელ პროცესს, ეს იყო ამალელებელი, დამლელი, მაგრამ ჩემთვის, პოეტისთვის ჰეროიკული პროცესი... გამახსენდა ცნობილი პოეტის სიტყვები - „დედაო, მიწავ, ფეხს რომ გაბიჯებ, ვგრძნობ, წინაპართა ძვლები იმტვრევა“... და, თუ... მიწა ვართ და მიწადვე მივიქცევით... უცებ წარმოვიდგინე და დამაჟრიალა. ვინ იცის, ვისი ფალა, დოქი, კრამიტი, ქვევრი... ვისი სიცოცხლის ნაწილია ოსტატის ხელით ისევ სიცოცხლემინიჭებული და ისევ ჩვენ გვერდით ტრიალებენ უკვე ყოფილი კულტურის ნაწილად ქცეულნი. ამაზე ფიქრი, ახლა, ამ სიტყვების წერის პროცესშიც კი ჟრუანტელს მგვრის. იმედი მაქვს, გააგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას და კიდევ გაგახარებს

ახალი, საინტერესო ფილმებით.

ნადია ბუნღაძე, პედაგოგი:

- ადრე სოსოს ვუყურებდი საკუთარი გადმოსახედიდან, ახლა ჩემი მოსწავლეების თვლითაც ვუყურებ - მათთვის სამშობლოს გაცნობაში მისი ფილმები დამეხმარა. განსაკუთრებით პანდემიის დროს შეისწავლეს მოსწავლეებმა ეს ფილმები. სოსომ კიდევ ერთი ძალიან კარგი სიახლე წამოიწყო - ფილმების გადაღება ბავშვების მონაწილეობით. ეს ძალიან კარგია, რადგან მოსწავლეებს მარტივად შეუძლიათ შეისწავლონ საქართველოს ისტორიის რაღაც გარკვეული პერიოდი და ყველაფერი საქართველოს შეყვარებაში უწყობს მათ ხელს.

ნინო ზოსიძე, მწერალი:

- დღევანდელი საღამო სოსოსავით ხალასი და უბრალოა. ის ხალხოსანია. საინტერესო ფილმები აქვს. სადაც არ უნდა წახვიდე, ნებისმიერ სოფელში, მას იცნობენ იმით, რომ ხალხის გულთანაა ახლოს. სოსო ნებისმიერი თანამდებობისთვის მეცოდება, მან უნდა იაროს სოფლებში, უნდა მისცე კარგი დაფინანსება და საოცრებებს გადაიღებს. ჯერ კიდევ ბევრი რამაა გადასაღები. მას საკუთარი ხელწერა აქვს.

თამილა ფოლიძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

- სოსოს ფილმები სულ მალე გახდება რარიტეტული, თანდათან კიდევ უფრო დიდი ფასი მიეცემა. ეს ფილმები აუცილებლად შესატანი სასწავლო პროგრამებში, ნიმუშია იმისა, თუ როგორ გააკეთოს რეჟისორმა ერთ ნავთზე ასეთი მნიშვნელოვანი ფილმი. ის ახალ მიმართულებებზეც მუშაობს, რაც ასევე მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა, რომ მის ფილმებში ლაზურის ისმის, აფხაზურიც, სვანურიც, მეგრულიც... 10-15 წუთში მთელ საქართველოში გვაშოგზაურა. ერთმანეთს 31 წელია ვიცნობთ და მიხარია, რომ ისევ ერთად ვართ. მინდა, რომ აუცილებლად იღოს ფილმები, ეს მისი საქმეა... გადასაღები ბევრია.

ვლადიმერ ტატიშვილი, აჭარის ტელევიზიის დირექტორი:

- სოსო სტურუას ფილმები თაობებს დარჩება. ეს არის ის, რაც არ კვდება, ამდენად, შემოქმედი ადამიანიც უკვდავია. შესაძლოა, ადამიანმა მხოლოდ ერთი რამ გააკეთოს და ამით უკვდავყოს საკუთარი სახელი, სოსომ კი არაერთი ფილმით დაამახსოვრა დიდ აუდიტორიას თავი. ის ამ კადრებში თავდაცვას ამუშავებდა იცოცხლებს.

თემურ ტუნაძე, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წარმომადგენელი:

- მასთან ერთად ერთ-ერთი ექსპედიციის მონაწილე გახლდით, მაშინ გავიცანი ეს კარგი ადამიანი. აქ ბევრი რამ ითქვა მის პი-



როვნულ თვისებებზე, შემოქმედებაზე, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ის ნამდვილად არის ჩვენი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის თვალისჩინი, იმედია, რომ კვლავაც გააგრძელებს ამ საქირო საქმეს, გადაიღებს კიდევ არაერთ კარგ და საჭირო ფილმს.

ბენდი ფოლიძე, პოეტი:

- მასთან არერთხელ გამივლია კონსულტაციები, რაც ცხოვრებაშიც გამომადგა, სხვანაირი თვლით შემახედა ეთნოგრაფიაში. ადამიანს სიახლისადმი მუდმივი ლტოლვა ახასიათებს და ის ძველი იკარგება. ჩვენ გარდამტენ პერიოდში მოგვიწია ცხოვრება და სოსო სტურუამ ოქროს შუალედი იბოვა იმით, რომ ახალი ტექნოლოგიები ჩააყენა იმ ძველის სამსახურში და შემოგვინახა, რითაც ძალიან კარგი საქმე გააკეთა კაცობრიობისთვის. ჯერ კიდევ არ არის ქართული კულტურა გამოკვლეული და დასახლებული ისე, როგორც საჭიროა მსოფლიოსთვის და როცა ამისთვის მოიცლიან, ის ადამიანები, რომლებიც ეთნოგრაფიაში ატარებენ ცხოვრებას, ცოცხალი აღარ იქნებიან. ეს ფილმები ისტორიული წყაროა, ფასდაუდებელია.

მასტანო ფლონტი, პოეტი:

- ადამიანი ფასდება სამშობლოსთან მისი დამოკიდებულებით, როცა მას გაჭირვება ადგას (კაი ხანია, ამ გაჭირვებაში ვართ), სოსოს მიერ გადაღებული ფილმები მუდამ სამშობლოს თემას დასტრიალებს, იმას, რაც ფასეულია ჩვენი ქვეყნისთვის და რაც ხშირად მიჩუმდებულ და იგნორირებულია. სოსოს, ნიჭიერებასთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც აქვს, ამიტომ ითქვა ამ საღამოზე ამდენი გულწრფელი, მოსაფერებელი სიტყვა.

ოზარ ბერიძე, აჭარის ტელევიზიის წარმომადგენელი:

- სოსო ყოველთვის იყო მკვლევარი და პირველი ჟურნალისტიც იყო, რომელიც ჩინამკარში შეიბარა და მემამოხე ვლიავასგან ინტერვიუ აიღო. ეს, ალბათ, ყველა ჟურნალისტის ოცნება იყო. მიხარია, რომ მისი ფილმების პირველი მაყურებელი ვიყავი. თითოეული მათგანია დასამახსოვრებელი და ნიჭიერად გაკეთებული. წარმატებები და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები მინდა ვუსურვო.

